სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, 2019-2020 წწ საკუთარი სახსრებით, ელექტრონული ტენდერის საშუალებით ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად) (SPA ---------) (CPV - 77210000).

ერთის მხრივ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (შემდგომში შემსყიდველი) სააგენტოს უფროსის მოადგილის სახით, მისამართი: ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. № 6, ს/კ 204578581. ტელ: 2753910. საბანკო რეკვიზიტები: საბანკო რეკვიზიტები: ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა 24 0330100200165022. (კოდი: 311003). ხოლო მეორეს მხრივ ----------

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდეტს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე, „კვირა, „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი' – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი' – პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ელექტრონულ ტენდერში და ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: **სამეგრელო- ზემო სვანეთის რეგიონი, ხაიშის სატყეო უბნის ხაიშის სატყეო 94-ე კვარტალი მე-5 ლიტერი (ტყეკაფის N008-02-0032482).** სავარაუდოდ (საორიენტაციოდ) 623,078 კუბური მეტრი ფოთლოვანი და წიწვოვანი სახეობის ხე-ტყის/მერქნული რესურსის (სოჭი, ნაძვი 530,889 მ3, წიფელი 92,189 მ3) ხე-ტყის/მერქნული რესურსის დამზადების მომსახურების გაწევა (შემდგომში მომსახურება) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. მომსახურების ღირებულება

3.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ლარს.

3.2 ერთი m^3 ხე-ტყის დამზადების, შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე ტრანსპორტირების და დასაწყობების მომსახურების ღირებულება შეადგენს ----

4. მომსახურების მიღება-ჩაბარება

4.1 მომსახურების მიღება წარმოებს ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების დასკვნის საფუძველზე.

4.2 მომსახურება და ამ მომსახურებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების დასრულებისთანავე მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს წერილს, ხოლო წერილის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველის წარმომადგენლები (კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები) განიხილავენ წერილში დაფიქსირებული მომსახურებისა და ამ მომსახურებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების შესაბამისობას ხელშეკრულებით დადგენილთან.

4.3 კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები არაუგვიანეს 4.2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 2 (ორი) სამუშაო დღისა ამზადებენ დასკვნას მიმწოდებლის მიერ შესრულებული მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულთან შესაბამისობის თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ, მომსახურება და ამ მომსახურებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, დასკვნის მომზადების დღესვე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი ახორციელებს მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, გამოვლინდება, რომ მომსახურება და ამ მომსახურებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი მომსახურება.

4.4 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 4.3 პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა მომსახურების მიღება, მიმწოდებელს ახალი უნაკლო მომსახურების მიწოდებამდე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.5 მომსახურების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.6 შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.7 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმომწერი იქნება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის უფროსი.

5. მომსახურების განხორციელების ვადები და ადგილი

5.1 მომსახურება (ხე-ტყის დამზადება) და ამ მომსახურებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება სრულად უნდა განხორციელდეს **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 13 აგვსტომდე, საიდანაც 200 კბმ ხე-ტყის დამზადება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო, დანარჩენი 423.078 მ3 მერქნული რესურსის ათვისება უნდა განახორციელოს 2020 წლის 13 აგვისტომდე.**

5.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს **სამეგრელო- ზემო სვანეთის რეგიონი, ხაიშის სატყეო უბნის ხაიშის სატყეო 94-ე კვარტალი მე-5 ლიტერი (ტყეკაფის N008-02-0032482).**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად განახორციელოს მომსახურება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

6.1.1 ზეზემდგომი ხის ჭრა: სამუშაო ადგილის მომზადება (ხის ირგვლივ ადგილის გასუფთავება ქვეტყისგან, ამონაყრების, ეკალ-ბარდების და ბუნებრივი ნაყრისაგან). ხის ჭრა და განსაზღვრული მიმართულებით წაქცევა. ზეზემდგომი ხის ჭრის პროცესის დასრულებისთანავე უზრუნველყოფილ იქნეს მოჭრილი ხის ნარჩენების ხურგებად განთავსება;

6.1.2 მოჭრილი ხის ღეროდან მაქსიმალურად იქნეს ამოღებული საქმისი მერქანი-მრგვალი მორი. აგრეთვე მაქსიმალურად 5 ან 6 მეტრის სიგრძის მრგვალი ხე-ტყის მორის მიღების მიზნით შოლტების დამორვა ბენზოხერხით: ძირზე დარჩენილი ღეროს ნაწილის მოჭრა-შესწორება, შოლტზე გადასაჭრელი ადგილის მონიშვნა და მოჭრა;

6.1.3 შოლტების თრევა ტრაქტორით ტყეკაფზე;

6.1.4 ხე-ტყის დახარისხება და დაშტაბელება ზედა საწყობში, რაც მოიცავს შოლტის მიგორებას, დახარისხებას სიგრძის და ხარისხის მიხედვით, გადაჭრას სატრანსპორტო საშუალებებზე დასატვირთად, გადაჭრილი მორების ხელმეორედ დახარისხებას სიგრძისა და ხარისხის მიხედვით;

6.1.5 ხე-ტყის დატვირთვა ტრანსპორტზე, ტრანსპორტირება ხე-ტყის საბოლოო დასაწყობების ადგილამდე და გადმოტვირთვა

შემსყიდველის მითითების შესაბამისად; კვარტალი N94 მისასვლელი სატყეო სამეურნეო გზით უზრუნველყოფილია, საშუალო მანძილი ტყეკაფიდან დამზადებული ხე-ტყის დასაწყობების ადგილამდე არის დაახლოებით (მესტიის მუნიციპალიტეტი სოფ. ხაიში) 25 კილომეტრი.

6.1.6 მიმწოდებელმა მოჭრილი-დამზადებული მერქნული რესურსი უნდა დაასაწყობოს სააგენტოს ან ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ მითითებულ ადგილას.

6.1.7 მიმწოდებელმა მოჭრილი-დამზადებული მერქნული რესურსი, ხე-ტყის საბოლოო დასაწყობების ადგილზე ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის მითითების მიხედვით დაალაგოს შტაბელებათ;

6.1.8 მომსახურების გაწევის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან ან/და სააგენტოს ტეროტირიულ ორგანოსთან შეთანხმებით უნდა უზრუნველყოს ტყეკაფამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზების მოვლა ან/და რეაბილიტაცია (გზის მუდმივად გამართულ მდგომარეობაში ყოფნა);

6.1.9 მიმწოდებელმა უნდა მოჭრას და დაამზადოს მხოლოდ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ჭრაში დანიშნული ხეები;

6.1.10 ტყეკაფზე ხე-ტყის დამზადების შედეგად მიღებული ნარჩენები განათავსოს დამზადების პროცესის პარალელურად კანონმდებლობის გათვალისწინებული წესების დაცვით;

6.1.11 მომსახურების გაწევის პერიოდში დამზადების პროცესის გამართულად წარმოების უზრუნველსაყოფად შეასრულოს სააგენტოს ან/და სააგენტოს ტერიტირიული ორგანოს წერილობითი მითითებები მათ შორის, ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის შესახებ.

6.2 მიმწოდებელმა მომსახურება უნდა განახორციელოს არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო ჯგუფით. თითოეული ჯგუფი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 6 ადამიანისაგან; თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს არანაკლებ 2 (ორი) მაღალი გამავლობის სატვირთო ავტომანქანა მორების საბოლოო დასაწყობების ადგილზე გამოსაზიდად; თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს არანაკლებ 1 (ერთი) სპეც/ტექნიკა (მუხლუხოაიანი ან/და ბორბლებიანი სპეციალური მორმთრევი ან სხვა სპეციალური ტექნიკა, რომლებიც თავისი აღჭურვილობითა და მონაცემებით განკუთვნილია მორების გამოსათრევად მცირე და შორი მანძილიდან) მორების გამოსათრევად; თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს არანაკლებ 1 (ერთი) სპეც/ტექნიკა (ბულდოზერი ან სხვა სპეც/ტექნიკა) სატყეო სამეურნეო გზების მოვლისათვის (გაწმენდა და ა.შ) ან/და რეაბილიტაციისათვის.

6.3 მომსახურების გაწევისას მიმწოდებელმა უნდა დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით (მ.შ. უსაფრთხოების ნორმები) დადგენილი მოთხოვნები. მიმწოდებლის მხრიდან უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი სრულად თავად აგებს პასუხს დამდგარ შედეგზე. კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დარღვევების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტოს.

6.4 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

6.6 წარმოდგენილი დასამზადებელი მერქნული რესურსი საორიენტაციო ხასიათისაა და (მათ შორის: საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებითაც) შემსყიდველი უფლებამოსილია არ განახორციელოს მომსახურების შესყიდვა სრული რაოდენობით.

6.7 მიმწოდებელი ვალდებულია ტრანსპორტირების დაწყებამდე დაუკავშირდეს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს ტრანსპორტირებისათვის საჭირო დოკუმენტის გამოწერის მიზნით. უკანონო ტრანსპორტირებით გამოწვეული ნებისმიერ სახის ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

6.8 მიმწოდებელი ვალდებულია ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ მე-13 მუხლის მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოს ჭრის შედეგან მიღებული ნარჩენების განთავსება.

7. გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ განხორციელებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, მომსახურების გაწევის შემდეგ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში) საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ (ხელშემშლელ გარემოებებში არ ითვლება წვიმა, ქარი, თოვლი და ა.შ.) გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი

ვალდებულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით. (ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც დაჭირდება 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მიმწოდებლის მიერ წარდგენილი წერილის მიღებიდან კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მიერ დასკვნის მომზადებას).

11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის არაჯეროვანი შესრულებისათვის, ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5 პროცენტის ოდენობით. ამ პუნქტის მოქმედების დროს გამოირიცხება 11.1 პუნქტის მოქმედება. (არაჯეროვან შესრულებად არ ითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადის გადაცილებით შესრულება.)

11.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 6.8 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში დააკისროს გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილების მე-10 დანართის მე-8 პუნქტის შესაბამისად.

11.4 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

11.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს იმ შემთხვევაშიც, თუ ზიანი მიადგა მესამე პირებს და ეს შედეგი არ დადგებოდა ვალდებულება ჯეროვნად, რომ შესრულებულიყო.

11.6 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

11.6.1 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით. ფორს-მაჯორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

11.6.2 ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 11.6.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს;

11.6.3 ხელშეკრულების 11.6.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11.7 ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივი შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სრულად შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.8 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით. ამ პუნქტის მოქმედების დროს გამოირიცხება 11.1 პუნქტის მოქმედება.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

12.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია განახორციელოს მთლიანი მომსახურება ან მისი ნაწილი;

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

12.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

12.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

12.3.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.4 პუნქტის დადგომის შემთხვევაში;

12.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურების განხორციელებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებენ შემსყიდველის წარმომადგენლები: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის 2 (ორი) მეტყევე (შემდგომში „კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი“).

13.2 კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციებია:

13.2.1 გაუწიოს კონტროლი მომსახურების განხორციელების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

13.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა განხორციელებული მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და/ან მოთხოვნებს. (მ.შ. – ვალდებულებებს). ამ მიზნით პერიოდულად განახორციელოს მონიტორინგი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლტან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს („ფორს-მაჟორში“ არ ითვლება წვიმა, ქარი, თოვლი და ა.შ.), რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

14.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

15.3 პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აგრეთვე ვიზების დამდები პირები, ამავდროულად ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესტა კონფლიქტში აღნიშნულ მიმწოდებელთან.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და **მოქმედებს 2020 წლის 13 სექტემბრამდე**

17.2 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ქართულ ენაზე.

„შემსყიდველი" „მიმწოდებელი"

--- ---